




ხაშურის მოახბე



№15 (297)

31 მაისი, ორშაბათი,

2021 წელი

1 ივნისი ნინობა - პიროვნული!

ნინობა ქართველი ერისათვის უდიდესი დღესასწაულია, რადგან წმიდა ნინო ქართველთა განმანათლებელია. საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, როდესაც ღვთისმშობლის ღვთისმშობლისა და ვახის ჯვრის ძალით წმიდა ნინო კაბადოკიელმა ქართლში იქადაგა.



საქართველოში ნინობა აღინიშნება... ნინობაკაბადოკიელი ქალწული წმიდა ნინო დიდმოწამე გიორგის ახლო ნათესავად ეკუთვნოდა. იგი რომის მხედართმთავრის ზაბულონის და იერუსალიმის პატრიარქის იუბენაღის დის, სოსანას ერთადერთი ასული იყო.

როდესაც ნინოს თორმეტი წელი შეუსრულდა, მშობლებმა ყველაფერი გაეიდეს და იერუსალიმში გადასახლდნენ. ნინოს მამა ბოლოს ბერად აღკვეცილა, დედა კი გლახაკთა სამზრუნველოს მსახური გამხდარა. ნინო კი აღსაზრდელად მოხუც ქალს – სარა ნიაფორს მისცევს. იგი ქრისტიანულად ზრდიდა ნინოს, უამბობდა მაცხოვრის მიწიერი ცხოვრებისა და წამების ამბავს. სარასაგან გაიგო ნინომ ისიც, თუ როგორ მოხვდა ქრისტეს კვართი წარმართთა ქვეყანაში – საქართველოში. ამ დღიდან ნინო გულმხურვალედ ევედრებოდა ყოველდღე წმიდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ნახვისა და იმ პერანგის თაყვანისცემის ღირსი გაეხადა, რომელიც მაცხოვარს თავად ღვთისმშობელმა მოუქსოვა.

ყოველდღე წმიდა ქალწულმა შეისმინა ნინოს ვედრება, სიზმარში გამოეცხადა და უთხრა: “წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში, იქადაგე იქ სახარება უფლისა იესო ქრისტესი, მოიპოვებ მისგან მადლს და მე შენი მფარველი ვიქნები”.

ამაზე ნინომ უპასუხა: “როგორ შემიძლია მე, სუსტ ქალს, რომ ასეთი დიდი სამსახური გაეუწიო ქრისტეს და რით შემიძლია ვერწმუნო ასეთი ჩვენების ჭეშმარიტებას?”

ყოველდღე წმიდა ღვთისმშობელმა ვახის ჯვარი მისცა ნინოს და უთხრა: “მიიღე ჯვარი ესე ფარად და მფარველად ხილულთა და უხილავთა მტერთა ზედა”.

გამოღვიძებულ ნინოს მართლაც ჯვარი ეპყრა ხელთ. მან საკუთარი თმებით შეკრა იგი.

იერუსალიმიდან წამოსული ნინო იმპერატორ კონსტანტინე I-ის კარზე მოხვედრილა, სადაც დედოფალ ელენესა და სეფე-ქალებს ქრისტიანობას უქადაგებდა. ამის შემდეგ ნინო საქართველოში წამოსულა.

მცხეთაში, თავის სადგომში, სალოცავად აღუმართავს ვახის ნახსლავისაგან გაკეთებული ჯვარი. თავისი ქადაგებებითა და სამკურნალო ხელოვნებით ნინოს ადგილობრივი მოსახლეობის ყურადღება და სიყვარული დაუმსახურებია. მას მეტსახელად “ტყვესაც” ეძახდნენ, როგორც უცხოელ, უთვისტომო ადამიანს. ნინოს წყალობით მცხეთაში ქრისტიანობას მრავალი მიმდევარი გასჩენია.

მცხეთაში მისვლიდან მეექვსე წელს ნინომ ქართლის დედოფალი ნანა გააქრისტიანა, ხოლო შემდეგ მეფე მირიანი და სამეფო ოჯახის სხვა წევრები. ამის შემდეგ, ნინოს რჩევით, მეფემ მოციქულები გაგზავნა იმპერატორ კონსტანტინესთან სამღვდლოების ჩამოსაყვანად, რათა ხალხი მოენათლათ და ეკურთხებინათ ახლად აგებული ეკლესია. ნინოს სამიოთხედო მოღვაწეობა ქართლის სამეფოს სხვა კუთხეებშიც განუგრძობდა. ერისთავის, სამღვდლოებისა და ჯარის თანხლებით ნინო მთიანეთში ასულა და წილკენელები, ჭართლები, ფხოველები და ერწო-თიანეთელებიც გაუქრისტიანებია. უკან დაბრუნებისას ნინო ავად გამხდარა და სოფელ ბოდინში (ახლანდელი ბოდბე) გარდაიცვალა. წმინდანის სურვილისამებრ მისი პატიოსანი გვამი ბოდბეში დაფლეს. შემდგომ მის საფლავზე მირიან მეფემ წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი ააგო”.

ყოველწლიურად, 1 ივნისს, ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან, სოფელ ფოკაში წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლის აღსანიშნავად წირვა ტარდება. წირვის შემდეგ კი მორწმუნენი ფეხით იწყებენ მსვლელობას და გადიან იმ გზას, რომელიც წმინდა ნინომ ქართლის გასაქრისტიანებლად გაიარა. ამ მსვლელობას წმიდა ნინოს გზასაც უწოდებენ.

ველას, ვისაც ღირსების საქმედ მიაჩნია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ხაშურისა და მისი მოქალაქეების კეთილდღეობაში

ქვეყანაში, ხელისუფლების ინიციატივით, საზოგადოების გაჯანსაღებისათვის წარმოებულმა ინიციატივებმა გამოაცოცხლა და გზა გაუხსნა მოქალაქეების აზროვნებასა და ინიციატივას. ამისი მაგალითობა ხარვეზებიანი, მაგრამ მაინც აღმშენებლობითი პროცესები. ამ მიმართულებით, ხაშურშიც შეინიშნება ცალკეული ძვრები, მაგრამ პრაქტიკულად, მთლიანობაში არაფერი კეთდება. მრავალ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზებს შორისაა უინიციატივობა, მთავრობის, პარლამენტის, და სხვათა მოიძევედ ყოფნა. რომელსაც თან ერთვის შრომისუნარიანი მოსახლეობის დაუსაქმებლობა, რაც ამძიმებს და თუ ასე გაგრძელდა მომავალში უფრო დაამძიმებს მოსახლეობას და მათ ცხოვრებას.


ასეთი ვითარების ფონზე არასამთავრობო ასოციაცია “ხაშური” მოგმართავთ წინადადებით, ერთად გავაზიაროთ დღევანდელი ყოფის გამოძვევი მიზეზები, გავაერთიანოთ ძალისხმევა და მიზანშეწონილად მიგვაჩნია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად, შეიქმნას სათათბირო, საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც აკუმულირებული იქნებიან აკადემიური ძალები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მათ შორის კვალიფიციური, პრაქტიკოსი ადგილობრივი ძალებიც, რომლებიც შეისწავლიან და მოამზადებენ განსახილველად ხაშურის გარემოსთან თანხვედრად სოციალურ და ეკონომიკურ პროექტებს და რომლებიც, ვიმედოვნებთ, ხელს შეუწყობენ სამუშაო ადგილების შექმნას და მთავრობის დასაქმების პოლიტიკის განხორციელებას.

აზრთა გაზიარებით, მსჯელობით (სათათბირო, საბჭო) უზრუნველყოფს გამოიმუშაოს საერთო ხედვა, ერთიანი მიდგომები ცალკეული პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებით, რომელსაც ესაჭიროება ახალი აზროვნება და ახალი მიდგომები მოქალაქეთა აქტიური ჩართულობით, ერთობლივი საერთო ხედვის პერიოდულად გამოქვეყნება მასმედის სა-

შუალებით, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებულობას და აქტიურობის ზრდას, რაც გადამწყვეტი უნდა გახდეს სწორი და ქმედითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის იმაზე, თუ რამდენად სწორად შეგავსებთ არსებულ რეალობას, სწორად განვსაზღვრავთ პრიორიტეტებს, ბევრადაა დამოკიდებული თითოეული ხაშურელის კეთილდღეობა.

უფიქრობთ, ჩვენეი ინიციატივა შედის როგორც ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის და თითოეული ხაშურელის ინტერესებში. (სათათბიროს, საბჭოს) შექმნის ორგანიზაციული საკითხების გასარკვევად, დაუკავშირდით საინიციატივო ჯგუფს.

ტელ: 558 591 920; 593 580 402.



ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბახევში გზის მონყობის სამუშაოები მიმდინარეობს

ამ ეტაპზე ხორციელდება გზის დამცავი ხელოვნური ნაგებობების-კედლების და გაბიონების მშენებლობა. პროექტის ფარგლებში, დაიგება ასფალტი, მოეწყობა სანიაღვრე არხები და მილ-ხიდები.

სოფელში, ამ დრომდე საგზაო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა, რაც, განსაკუთრებით, უამინდობის პერიოდში გადაადგილების პრობლემას ქმნიდა. ამჯერად კი მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს.

„აღნიშნული პროექტი მთელ სოფელს მოიცავს და მოწყობილი გზით 900-ზე მეტი ადამიანი ისარგებლებს. სამუშაოები სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და ღირებულება 1840009 ლარს შეადგენს“ - აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა.



სოფელ სავანისუბანში ასფალტის პირველი ფენა უკვე დაგებულია

პროექტი ხაშურის მუნიციპალიტეტის ქვიშხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ სავანისუბანში მისასვლელი გზის მონყობის სამუშაოების ფარგლებში, სოფელ სავანისუბანში მისასვლელი გზის მონყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარე პროექტი 674 229 ლარს ითვლის.


სოფელ სავანისუბანში მისასვლელი გზის მონყობა, უახლოეს პერიოდში დასრულდება.

აღნიშნული გზით 900-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები და სტუმარი ისარგებლებს, რაც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს.



ახალგაზრდა ოჯახის წარმატების საიდუმლო

24 წლის ლიკა მურმანიძე 2 შვილის დედაა სოფელ ალიდან. დაიბადა ხაშურში, მრავალშვილიან ოჯახში, აქვე დაამთავრა გალაკტიონ ტაბიძის სახელობის მე-6 საჯარო სკოლა, პარალელურად, სწავლობდა ხაშურის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში და დაამთავრა ქორეოგრაფიული ოთხწლიანი. მათი კლასიდან უკვე ასწავლიდა ცეკვას ალის საჯარო სკოლაში, სწორედ აქ დაუკავშირა ბედი მომავალ მეუღლეს - ზაზა ტაბაშიძეს. იქორწინეს, შვილებიც შეეძინათ, ლიკას მუშაობა არ შეუწყვეტია. აქვე, ალში, საბავშვო ბაღში დაიწყო ცეკვის მასწავლებლად მუშაობა. ამჟამად კი აღმზრდელის თანაშემწეა.



უყვარს თავისი საქმე და ყოველ დღეს, საკუთარ შვილებთან ერთად, მიუხარია იქ, სადაც სხვისი პატარებიც ელოდებიან. სადამოს კი ოჯახში დაბრუნებული კოხტა და მუდამ ფორმაში მყოფი მასწავლებელი, დიასახლისის და ფერმერის როლს ირგებს.

იოლი არ ყოფილა ახალგაზრდა ქალისთვის სოფელში ცხოვრების დაწყება, როგორც ყველა გოგო, ისიც ქალაქში ღამაზ ცხოვრებაზე ოცნებობდა, სადაც მის ნიჭს გასაქანი ექნებოდა. ლიკა ხატავს კიდევ. მეუღლე ყველანაირად ცდილობს, მისი სურვილების ასრულებას, ამისთვის კი დაუღალავი შრომაა საჭირო. ამ ეტაპზე სოფელში ცხოვრების გადაწყვეტილება მიიღეს.

ფერმაზე ფიქრი ჯერ ოცნებით დაიწყო, შემდეგ ოცნება რეალურად აქციეს. ყველაფერი შორიდან იოლი ჩანდა, ვიდრე რეალურად აღმოჩნდა. ვინაიდან არ ჰქონდათ დაფინანსება, საკუთარი ძალებით ააშენეს სადგომი, შეიძინეს 4 ფური და ჰყავთ 6 ხბო.

დიდიხანია, გვინდოდა დაგვეყო ეს საქმიანობა და სოფელში ფეხი მოგვეკიდებინა. საკუთარი ძალებით გადავწყვიტეთ საქმის დაწყება და აქამდე მოვედით. ერთად ვცდილობთ, ყველა სირთულე გადავლახოთ. ძირითადად, ჩემი მეუღლეა დატვირთული, დილის 6 საათზე დგება და უფლის საქონელს, უსუფთავებს, მე ვწვლავ ვეხმარები. ყველის რეალიზაციას ვაკეთებთ ადგილობრივ ბაზარზე. რითაც შემიძლია, გვერდში ვუდგავარ მას. ვცდილობ, ყველაფერი მოვახარო, ყველაფერი შევიცნო და შევისწავლო, ასე რომ ძალიან აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობ სოფლის პირობებში...



ლიკას ყოველი წუთი გათვლილია: ოჯახი, სამსახური, მეურნეობა და როგორც კი თავისუფალ დროს გამოიხატავს, თავის საყვარელ საქმიანობას - ხატვას უბრუნდება. დღემდე ოცნებობს საკუთარ ქორეოგრაფიულ სტუდიაზე. მიზანდასახული ახალგაზრდა იმედია, ამ ოცნებასაც აისრულებს. მანამდე კი ფეხზე მყარად რომ დადგეს, საოჯახო მეურნეობის გაფართოებას გეგმავს. ექებს დონორ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ საქმეში დაეხმარებიან.

ახლა, ამ ეტაპზე, რაც ძალიან გვჭირდება, ეს საწველი აპარტია. თუ გავფართოვდებით, თანასოფლელების დასაქმებასაც შევძლებთ დამხმარედ. ადგილი დიდი გვაქვს იმისთვის, რომ უფრო მეტად გავფართოვდეთ.

სადამოს, როცა დაღლილი საკუთარ ფიქრებთან რჩება, ლიკა ამაცობს, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღო. მისნაირ ახალგაზრდებს მეტი თანადგომა და მოტივაცია ჭირდებათ, რომ სოფელი არ მიატოვონ. თუნდაც ელემენტარული დახმარება სახელმწიფოს მხრიდან მათთვის დიდი სტიმული იქნებოდა. სურვილი აქვს, შექმნას ახალგაზრდა ქალთა საინიციატივო ჯგუფი, რათა შეცვალოს სტერეოტიპები და მისცეს მათ მოტივაცია უკეთესი ცხოვრებისთვის.

საქართველოში ქალთა ფონდის მხარდაჭერით პროექტში მონაწილეობამ მეტი თვითდაჯერებულობა შემატა, რომ გავხდეთ უფრო აქტიური, როგორც ქალი, მაგალითი მივცე სოფელში მცხოვრებ ქალებს, რათა ხელი შევუწყოთ სოფლის განვითარებას და სასიკეთო ცვლილებებს.


ლიკას ენთუზიაზმი და ოპტიმიზმი გადამდებია და იმედს აძლევს სოფელში მცხოვრებ ქალებს, რომ წარმატების მიღწევა სოფლის პირობებშიც შესაძლებელია და არანაირი შრომა სათაკილო არ არის. მთავარია, მონდობა და მუდმივი სწრაფვა მიზნისკენ.

ირინე გოგიტაური

- საშური ქართულ მედიაში - საბიბლიოთეკო გაერთიანება მნიშვნელოვანი პროექტის ეპიცენტრში

ჟურნალი - "საქართველოს ბიბლიოთეკა" წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ გამოცემას. ამ ჟურნალში გაეცნობით როგორც საქართველოს კულტურის სფეროს უამრავ საინტერესო ამბავს, ასევე საბიბლიოთეკო საქმიანობასა და სიახლეებს. ამჯერად თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ-ერთ გამოცემაზე, კერძოდ, 2020 წლის მე-3 ნომერზე, საიდანაც შეიტყობთ საშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტის შესახებ - "ქალები ჯანსაღი გარემოსთვის", რომელიც დააფინანსა ფონდმა - "ქალთა ფონდი საქართველოში". პროექტის და მისი მიზნების შესახებ წერილში დაწვრილებით საუბრობს საშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი, მარინე დიდებულიძე. პროექტის გუნდის წევრებმა: რესურსცენტრის წარმომადგენელმა მანანა აბაზაძემ, ექიმმა-პედიატრმა ლია მათიაშვილმა, რესურსცენტრის უფროსმა ზვიად გოგუაძემ, ამერიკის კუთხის კოორდინატორმა და პროექტის თანაგებთმა ქეთევან მეტრეველმა და პროექტის კოორდინატორმა ქალბატონმა ინეზა ელისაშვილმა განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა: დასუფთავების თანამედროვე სტრატეგიების დანერგვა; სურამის კლიმატის გამაჯანსაღებელი თვისებები; ეკოლოგიური პრობლემები; გარემოსდაცვითი ღონისძიებები და ცნობიერების ამაღლება მოსახლეობაში და ჯანსაღი გარემოს მნიშვნელობა.

ამავე ნომრის მეორე წერილში - "საშურის ბიბლიოთეკები პანდემიის დროს", ქალბატონი მარინე დიდებულიძე აღწერს საშურის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში შემავალი ბიბლიოთეკები როგორ გაუმკლავდნენ პანდემიის პერიოდს და როგორი დატვირთვით განაგრძობენ



მუშაობას,, რათა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეს პანდემიის პერიოდში დანერგილი ახალი სერვისებით ხელი შეუწყოს არაფორმალური განათლების შექმნაში.
თუ გსურთ მიიღოთ მეტი ინფორმაცია საქართველოს კულტურის სხვადასხვა სფეროსა და საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ, შეგიძლიათ გაეცნოთ პერიოდულ გამოცემას "საქართველოს ბიბლიოთეკა".




მოსწავლეები გენდერულ თანასწორობაზე მსჯელობენ

საშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი ნინო სუხიაშვილი წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებს გენდერული თანასწორობის საკითხებზე ესაუბრა.
შეხვედრაზე იმსჯელეს საზოგადოების როლზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საქმეში . განიხილეს გენდერული თანასწორობისა და სამართლიანობის ხელშემწყობი საკანონმდებლო მექანიზმები, ისაუბრეს სასამართლო პრეცედენტებზე ცნობილი მოსამართლე რუთ ბეიდერ გინსბურგის სასამართლო პრაქტიკიდან.
შეხვედრა კოვიდ-19-თან დაკავშირებული რეგულაციების დაცვით, პროექტ „გოგონებისა და ბიჭების თანაბარი შესაძლებლობების“ ფარგლებში, სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგის, ზვიად გოგუაძის ინიციატივით ჩატარდა.

საქართველოს მელიორასიამ საშურის მუნიციპალიტეტში ტაშისკარის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია განახორციელა

პროექტის ფარგლებში არხის მნიშვნელოვანი ნაწილი რკინაბეტონით მოპირკეთდა, დანალექი გრუნტისგან გაიწმინდა სოფელ ქვიშხეთში, ტეზერსა და ბეკამში არსებული წყლის გამტარი მილები, მოეწყო სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობები, არსებულ ხიდებს ჩაუტარდა რემონტი, შეიცვალა დაზიანებული ფარები.
ჩატარებული სამუშაოები საშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტების რამდენიმე ათას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გააუმჯობესებს სარწყავი წყლის მიწოდებას.
პროექტის ღირებულებაა 800 ათასი ლარი.
საირიგაციო სისტემაზე ჩატარებულ სამუშაოებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ოთარ შამუგია და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი დავით წითლიძე გაეცნენ და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ.



„სამელიორაციო სისტემების მოწესრიგება და განვითარება ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, ვინაიდან, ყოველი გასარწყავებული ფართობი ნიშნავს შესაძლებლობას ჩვენი ფერმერებისთვის აწარმოონ უფრო ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და მიიღონ მეტი შემოსავალი. სწორედ ამიტომ ჩვენ ყოველწლიურად მნიშვნელოვან თანხებს მივმართავთ სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციისთვის. წელს, დაახლოებით 90 მლნ ლარი მოხმარდება საირიგაციო და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციასა და საექსპლუატაციო სამუშაოებს, რის შედეგადაც ათასობით ჰექტარზე გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება და ასევე გაიზრდება წყალუზრუნველყოფილი ფართობები“, - განაცხადა ოთარ შამუგია.
ტაშისკარის სარწყავი სისტემა სათავეს სოფელ ახალდაბაში იღებს, მდ. მტკვარზე არსებული სათავე ნაგებობით. აღნიშნული სისტემით, საშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტების 7 ათასამდე ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მარაგდება სარწყავი წყლით.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ.#1 ,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14)

1896 წლის 23 მაისს გადაწყდა, პირველ რიგში, ავტოკლავი ნავთსადენი ბათუმსა და ხაშურს შორის, რათა განტვირთულიყო სურამის უღელტეხილი /ამ შემთხვევაში გვირახი/. გათვალისწინებული იყო ხაშურში ნავთობის მიმღები სადგურის აგება საიდანაც მოხდებოდა ნავთობის გადაქაჩვა ბათუმში.

სადგურის მშენებლობა დაიწყო 1897 წლის სექტემბერში და დამთავრდა 1900 წლის 1 მარტს, ხოლო ექსპლუატაციაში შევიდა 11 ივლისს. ხაშურში ბაქოდან ნავთობის მისაღებად ავტოკლავი იქნა სპეციალური ჩამოსასხმელი ოთხი ჩიხი. თითოეულ მათგანს შეეძლო, ერთდროულად მიეღო მატარებელი 50 ცისტერნით.

თავისთავად ცხადია, რკინიგზამ და მასთან დაკავშირებულმა სამსახურებმა, 90-იან წლებში, ზემოთაღნიშნულმა მშენებლობებმა, ხაშური გადააქციეს საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო-სამრეწველო დაბად.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, ხაშურში ვითარდება საბინაო-კომუნალური მეურნეობის დარგები, იზრდება დასაქმებული მოსახლურე პერსონალის რაოდენობაც. ეს პროცესი გრძელდება 80-იან წლებში, მაგრამ განსაკუთრებით განვითარებას იწყებს 90-იანი წლებიდან.

იმხანად, რკინიგზის ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა ხაშურში რკინიგზელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, მათთვის, ამ პერიოდში, აშენდა არაერთი საცხოვრებელი სახლი.

ხაშურში მოქმედებდა რამდენიმე სასტუმრო, აბანო, საპარაკმახერო და სხვა.

რკინიგზის ხელმძღვანელობის ინიციატივით, მოწესრიგდა სასმელი წყლის მიწოდებაც. თუ მანამდე წყალს მდ. სურამი უღელტეხილიდან დებულობდნენ, რომელიც ხშირად დაბინძურებული იყო, წყალი ახლა უკვე ბელლითიდან გამოიყვანეს.

მოწესრიგდა დაბის მთავარი გზა, მეორე ხარისხის გზები კი კვლავინდებურად მოუწესრიგებელი რჩებოდა.

90-იანი წლებიდან, სურამიდან გადმოიტანეს ფოსტა-ტელეგრაფი. დღის წესრიგში დადგა იქიდანვე მომრიგებელი სასამართლოსა და სასოფლო-სამეურნეო კანტორის გადმოტანაც.

გაიზარდა ვაჭრობა, აქ იყო მრავალი მაღაზია, ღვინის სარდაფი, საყაბო, საკონდიტრო საამქრო და სხვა, რომელთა ყოველწლიური საქონელბრუნვა 68.100 მანეთს შეადგენდა.

1887 წლის გენერალური აღწერით, ხაშურში აღირიცხა 60 სავაჭრო სახლი და სახელოსნო, ხოლო 1889 წელს კი - 64.

1901 წლისათვის ხაშურში მოქმედებდა 26 სავაჭრო ობიექტი 90.965 მანეთის სავაჭრო ბრუნვით /მფლობელთა ჩვენებით/, საკრებულოს მასალით, იმავე 26 სავაჭრო დაწესებულებების ბრუნვა უდრიდა 151.500, მოგება კი 16.760 მანეთს. ამავე წელს ხაშურში გაიხსნა ახალი საწარმოებიც: აგაჯანოვის, ბაბაცაშვილის, გოგაძის, გოგოლაძის, კახუმიძის სავაჭრო ფარდულები. ფეხსაცმელებით, მანუფაქტურული და საგალანტერო საქონლით ვაჭრობა დაუწვია გელაძეს. იქვე მოქმედებდნენ ჯავახიშვილის დუქანი, ჯიმშელაშვილის ლუდის ფარდული, მეფარიშვილის ლუდხანა და საწვრილმანო ფარდული, ნავრუხოვის, ნაცვლიშვილის, ივანოვის და ორჯონიკიძის ღვინის სარდაფები.

ინტერესმოკლებული არ იქნება ზოგიერთი სავაჭრო დაწესებულების მონაცემების გაცნობა. ეხეროდინოვს რენსკის სარდაფთან ერთად, ჰქონია კოლონიური და საბაჟო-საქონლის მაღაზია 15.000 მანეთის სავაჭრო ბრუნვით და 1500 მანეთის მოგებით. მეორე ვაჭრის - ტრონაკოვის რენსკის სარდაფის ბრუნვა 30.000 მანეთს შეადგენდა. ასევე დიდი სავაჭრო ბრუნვა ჰქონდათ მანუფაქტურულ-საგალანტერო და ფეხსაცმელების სავაჭროს მფლობელს კვეტიევს -20.000 მანეთის ბრუნვა და მანუფაქტურული საქონლის ფარდულის მფლობელს, ბორის მეშნანის - 10.000 მანეთის ბრუნვა. დანარჩენ სავაჭროთა ბრუნვა მერყეობდა 1500-8000 მანეთის ფარგლებში.

900-იან წლებში ხაშურში გაიხსნა ლიმონათისა და ხის სახერხი ქარხნები.

1912 წელს, მწყობაში ჩადაგა ელსადგური, რამაც შესაძლებელი გახდა ხაშურის ცენტრის განათება.

განსაკუთრებით ყურადღება ექცეოდა რკინიგზის სადგურსა და მის შემოგარენს, მშენებლობებიც ძირითადად მის გარშემო მიმდინარეობდა.

ხაშურის სადგური პირველი მსოფლიო ომის წინ, 1908-1914 წლებში, შედგებოდა რვა ლიანდაგისაგან, თბილისისაკენ 5 სამგზავროსა და 7 საბარგოს, ხოლო ძლიერი დატვირთვის დროს 5 სამგზავროსა და 10 საბარგოს, ბორჯომისაკენ, 5 სამგზავროსა და 2 საბარგო მატარებელს.

მაქსიმალური ტრაფიკით მატარებელთა გამტარუნარიანობა შეადგენდა თბილისისაკენ 19 მატარებელს, ბორჯომისაკენ 10-ს, სურამისაკენ - 8-ს, ყოველწლიურად იტვირთებოდა 99750 ფუთი და გადმოიტვირთებოდა 191697 ფუთი ტვირთი.

სადგურ მიხაილოვს დუკო ემსახურებოდა მეოთხე წვეის უბანს გორიდან ბელოგორამდე, აგრეთვე ბორჯომის, სურამისა და ბაკურიანის განსტობებს. დუპოზე მიწერილი იყო 56 ორთქმავალი. აქედან 34 იყო ფრეის სერვისი.

განათლება და კულტურა

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, ხაშურის დაწინაურების კვალდაკვალ, მნიშვნელოვნად ვითარდებოდა განათლება და კულტურა. ამ პერიოდიდან ქალაქში საფუძველი ეყრება სკოლებს, თეატრს, ბიბლიოთეკებს და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. უფრო მოგვიანებით იქმნება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაცია, ქართული დრამატული საზოგადოება, იხსნება სტამბა, შეიქმნა ქალთა საზოგადოება "მანდილოსანი", რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ხაშურის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში.

განათლება. XIX საუკუნის 80-იან წლებამდე ხაშურისა და მის დევანდელ რაიონში სახალხო განათლების არცერთი ქართული დაწესებულება არ არსებობდა. ეს მაშინ, როდესაც სურამში 70-იანი წლების დასაწყისიდან უკვე სომხური სკოლები ფუნქციონირებდა. ამიტომ იყო რომ იმდროინდელი ქართული პრესა /„დროება“, „ივერია“, „სასოფლო გაზეთი“, „მწვემისი“ და სხვა/ ყოველთვის დიდი გულისტკივილით მიანიშნებდნენ ამ გარემოებაზე.

გაზეთი „დროება“ 1880 წელს წერდა: „შეხედეთ ხაშურს, ჭალას, ცხრამუხას... ამ სოფლებში მარტო ქართველები ცხოვრობენ და არცერთი პატარა სასოფლო შოლა არ მოიპოვება. ბევრმა აზნაურიშვილმა ჩვენს სააბაშიოში ქართული წერა-კითხვა არ იცინა და თუ იცინა, იმისთანა ცოდნისაგან დმერთმა დაგიფაროსო“.

როგორც პერიოდული პრესის ფურცლებიდან ჩანს, ხაშურში სკოლის გახსნის საკითხი XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს დასმულა. გარკვეული მცდელობაც ყოფილა საზოგადოების მხრიდან, თითქოს მის გასამართლად საჭირო სახსარიც გამოიძებნა - იჯარის თანხა 400-500 მანეთის ოდენობით, საკითხი დაისვა გორის მაზრის უფროსის წინაშეც, მაგრამ ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.

გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ კორესპონდენციაში მისი ავტორი დიდი გულისტკივილით წერს ადგილობრივ სასულიერო პირებზეც, რომლებიც არავითარ ღონისძიებას არ მიმართავდნენ ხაშურში სკოლის გახსნისათვის. ეს კურთხეული ჩვენი მღვდელი, მამა სუხივეი, რომელსაც შეუძლიან სკოლის საქმეზე თავის მხრივ დიდი შემწეობა მოგვეცეს და გვიშუამდგომლოს ვისთანაც საჭიროა, თითქოს სძინავსო, თითქოს არ ესმის - თუ ამითი ჩვენი ქვეყანა რამდენად უკან რჩება!“

პრესის საშუალებით არაერთხელ მიმართეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას, აგრეთვე თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციას ხაშურში და მის შემოგარენში სასოფლო სკოლების გახსნის შესახებ, მაგრამ არც მათი მხრიდან ყოფილა რაიმე რეალური დახმარება.

„ნეტა ჩვენ, ქართველებს როდის გვედირსება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა და დირექციისაგან აქ სასოფლო სკოლის გახსნა“ - შეწუხებული კითხულობდა გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი ვახაძე და იქვე აღნიშნავდა, რომ „რაიცა შეეხება სწავლის სურვილს და სკოლის გახსნისას, ეს სურვილი კარგა ხანია ჩვენში გადავიძებულა და ვერ განგვისორციელებია უპატრონობისა გამო“.

სურათი საგრძობლად შეიცვალა 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც 1881 წლის სექტემბერში ხაშურის რაიონში გაიხსნა პირველი სკოლა, რომელიც ხაშურის, ზემო ჭალისა /დღევანდელი ჭალისუბანი/ და ცხრამუხის სასოფლო საზოგადოებას ეკუთვნოდა და ცნობილია ზემო ჭალის ორკლასიანი სკოლის სახელწოდებით.

იმავე წლის 4 ოქტომბერს მოხდა სკოლის საზეიმო გახსნა. აქ თავი მოიყარა ამ დიდი საშვილიშვილო საქმით დაინტერესებულმა ხალხმა - გლეხობამ, თავად-აზნაურობამ, ინტელიგენციამ. აქვე იყვნენ სტუმრები თბილისიდან - სასწავლო ოლქიდან, გორიდან - სამასწავლებლო სემინარიიდან და სხვა. გაზეთ „დროების“ 1881 წლის 15 ოქტომბრის ნომერში საკმაოდ ვრცლად აისახა სკოლის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებული მოვლენები. მისმა ფურცლებმა შემოგვიჩვენეს იმ ადამიანის სახელები, რომელთა ძალისხმევითაც მოხდა ამ სკოლის გახსნა. ესენი არიან თბილისის გუბერნიის სასწავლო ოლქის სახალხო სკოლების დირექციის ინსპექტორი ხითაროვი, სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე ნათაძე, ადგილობრივი მღვდელი მათე სუხივეი, თავადი დიმიტრი აბაშიძე და მამასახლისი იოსებ ნადირაშვილი.

ახალგაზრდა მასწავლებელმა ალექსანდრე ნათაძემ თავის შეკრძებულ ჯერ ილია ჭავჭავაძის ლექსი „გაზაფხული“ ამღერა, რამაც სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, ხოლო შემდეგ ჩაატარა პირველი გაკვეთილი არითმეტიკაში. მანვე სამადლობელი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას.

1881 წლის 15 ოქტომბერს, გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ალ. ნათაძის წერილი, რომლითაც მადლობას უხდოდა ყველა იმ პირს, ვინც სკოლას მატერიალური დახმარება აღმოუჩინა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იმ პირებს შორის, ვინც სკოლისთვის გასწია მატერიალური დახმარება, დასახელებულია გამოჩენილი რუსი პედაგოგი, გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი დ.დ. სემიონოვი. აღნიშნული ფაქტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ გამოჩენილი პედაგოგი გარკვეულ ინტერესს იჩენდა სემინარიის კურსდამთავრებულთა მიმართ. ალ. ნათაძე სემინარიის 1881 წლის კურსდამთავრებული იყო. როგორც ჩანს დ. სემიონოვი დაინტერესებულა თავისი ყოფილი მოსწავლის საქმიანობით და იმ სკოლით, სადაც მას უნდა დაეწყო მოღვაწეობა. სემინარიის დირექტორს ახლადგახსნილი სკოლისათვის 10 მანეთი შეუწირავს და სიტყვითაც მიუმატრთავს ხალხისათვის. „ამ უკანასკნელს /ვ.ი. დ. სემიონოვს/, - აღნიშნავდა ალ. ნათაძე, - მოვახსენებ მადლობას როგორც ამ შესაწირავისათვის, აგრეთვე იმ გრძნობით სავსე სიტყვებისათვის, რომელიც მიმართული იყვნენ ხალხისაკენ“.

სკოლამ სულ მალე მოიპოვა დამსახურებული ავტორიტეტი ხალხში. გახსნიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1881 წლის 9 დეკემბერს, გაზეთი „დროება“ აღნიშნავდა, რომ „ზემო ჭალის სკოლის საქმე ძლიერ კარგად მიჰყავს მის მასწავლებელს ბ. ნათაძეს, რომელსაც მრთლად თავისი არსება შეუწირავს ამ კეთილი საქმისათვის. საზოგადოება ემადლიერება მას და ღრმად თანაუგრძნობს მის კეთილსინდისიან შრომას და ყოფაქცევას“.

ქართული რევოლუციამდელი პრესა /„დროება“, „ივერია“, „მწვემისი“, „ქართლი“, „საქართველო“ და სხვა/ ყოველთვის მალაღ შეფასებას აძლევდა სკოლის საქმიანობას 1912 წელს, გაზეთი „ქართლი“ ზემო ჭალის სკოლის შესახებ აღნიშნავდა: „აქეთ მხარეს ყველაზე კარგი სკოლა ს. ზემო ჭალის ორკლასიანი სკოლაა, სადაც სამაგალითოდ არის დაყენებული სწავლის საქმე“.

სკოლასთან არსებობდა საქსოვი განყოფილება ქალთათვის. 1901 წელს თბილისში მოწოდებულ კავკასიის სამეურნეო გამოფენაზე სასწავლებელი პატარა ოქროს მედლით და დიპლომით დაჯილდოვდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სკოლაში საკმაოდ მაღალ დონეზე ყოფილა დაყენებული შრომითი სწავლება. „სკოლას აქვს მშვენივრად მოწყობილი საქსოვი მანქანები და ხელსაქმესაც მშვენივრად ასწავლიან“ - აღნიშნავდა 1902 წელს გაზეთი „ივერია“.

1887 წლისათვის სკოლამ სწავლობდა 107 მოსწავლე, აქედან 75 ვაჟი, ხოლო ქალი-32. 1890 წლისათვის აქ იყო 102 მოსწავლე, 74 ვაჟი და 28 ქალი. 1896 წელს სწავლობდა 83 მოსწავლე, 51 ვაჟი და 32 ქალი. 1897 წლისათვის 105 მოსწავლე, 55 ვაჟი და 50 ქალი, ხოლო 1900 წლისათვის აქ უკვე 174 მოსწავლეა, 112 ვაჟი და 62 ქალი.

1888 წლის ნოემბერში, რკინიგზელთა ინიციატივით, ხაშურში, გაიხსნა კერძო სკოლა, რომელიც ხაშურის სინამდვილეში იყო უკვე მეორე საგანმანათლებლო დაწესებულება. ასეთი სკოლა ამიერკავკასიის რკინიგზაზე სულ სამი იყო: ელიზავეტოპოლში, ხაშურსა და თბილისში. სამივე სკოლას კერძო სასწავლებლების მე-3 თანრიგი ჰქონდა მინიჭებული. აღნიშნულ სასწავლებლებს რკინიგზის ხელმძღვანელობის ნებართვით გამოყოფილი ჰქონდათ ბინები რკინიგზის შენობებში, რკინიგზა იღებდა აგრეთვე თავის თავზე სკოლების, ბინების გათბობისა და განათების ხარჯებს. გზის უბნის უფროსის წარდგინების საფუძველზე, დახმარებას აძლევდა მასწავლებლებს, თითოეულს წელიწადში 200 მანეთის ოდენობით. 278 ასეთი დამოკიდებულება იყო რკინიგზის ადგილობრივ ხელმძღვანელობასა და კერძო სკოლებს შორის 1891 წლამდე.

1891 წელს, ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ შეადგინა პროექტი გზაზე მოსამზადებელი სასწავლებლების გახსნის შესახებ. პროექტი დასკვნისთვის გადაეგზავნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ი. იანოვსკის, რომელმაც, თავის მხრივ, პროექტი მოიწონა და დადებითი შეფასება მისცა. ამის შემდეგ, 4 მარტს, პროექტი გზის ხელმძღვანელობამ წარუდგინა სახაზინო რკინიგზის დროებით სამმართველოს დასამტკიცებლად.

პროექტი ითვალისწინებდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე 8 სასწავლებლის გახსნას 840 მოსწავლისათვის. ამ სასწავლებლებიდან 2 სასწავლებელი იხსნებოდა თბილისში /ერთი - ქალთათვის, ხოლო მეორე - აუბისათვის/ და თითო სასწავლებლის გახსნა ნავარაუდევო იყო ბაქოში, აჯი-ქაშუმში, ელისავეტოპოლში, მიხაილოვოში /ხაშურში/, ყვირილასა და სამტრედიასში. სასწავლებლის გახსნა ნავარაუდევო იყო სამი წლის განმავლობაში - 1891-1892 სასწავლო წლიდან 1893-1894 სასწავლო წლამდე.

სადგურ ხაშურში ასეთი სასწავლებლის გახსნა ნავარაუდევო იყო 1893-1894 სასწავლო წელს 90 მოსწავლისათვის, მაგრამ იგი გაიხსნა 1891 წლის 1 სექტემბერს. იგი იყო ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი ხუთი წლის სწავლების ხანგრძლივობით.

**ხ ა შ უ რ ი ს
ი ს ტ ო რ ი ი ს ა თ ვ ი ს
(1 6 9 3 - 2 0 2 0 6 6)**

- ახალი ნიშნი -

ქართველ ხალხს ეყოფა სიბრძნე, რომ მილიონიდან ერთი სწორი მიმართულება ამოვარჩიოთ ქვეყნის, ერის, ბერის, ტრადიციის და მომავლის გადასარჩენად

ჩვენი გაზეთის მკითხველი ძალიან კარგად იცნობს რევაზ გრიგალაშვილის საინტერესო სტატიებს. წლებია იგი ჩვენს რედაქციასთან თანამშრომლობს და მის პუბლიკაციებს ყოველთვის მოუთმენლად ელის მკითხველი. ახლახანს კი, ბატონმა რევაზმა მართლაც მშვენიერი საჩუქარი უძღვნა თავის ერთგულ მკითხველს- გამოიცა მისი ავტობიოგრაფიული წიგნი. თუმცა, "ავტობიოგრაფიული"-ეს ლიტერატურული ტერმინი, სრულიად ვერ ასახავს ამ წიგნის შინაარსს, რადგან ჟანრობრივად, ნაშრომი უფრო ფარო და ტევადია. პოლიციის პოლკოვნიკი, რომელმაც მრავალი ათეული წელი, ძალიან



სტრუქტურაში გაატარა, მაშინდელი პოლიციური სისტემის, იქ მიმდინარე მოვლენების და ფაქტების შესახებ გვიყვება. წიგნი "ეს უნდა თქმულიყო", ძალიან საინტერესოდ იკითხება და მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის შინაგან საქმეთა თანამშრომლების ცხოვრების, საქმიანობის მანკიერ თუ პროფესიულ საქმიანობაზე. წიგნში შეხვდებით, როგორც სამართალდამცავების, ისე სასამართლო სისტემის, შავი სამყაროს თანკვეთას, რადგან წიგნში ასახული მოვლენები იმ პერიოდს ეხება, როცა ქვეყანაში სხვა ინსტიტუტები და სხვა წყობა იყო, თუმცა, არც დღევანდელი და რჩენია ავტორის უურადლების მიღმა. იგი, საოცრად გასაგები, იუმორისტული ენით წვდება ყველა მოვლენას თუ ფაქტს, რომელიც ამ რეჟიმს და მასში მონაწილე ადამიანებს აერთიანებს. ავტორის მთავარი წუხილი, ათასგარამგამოვლილი ქვეყანაა, აქ ნახვით პარალელურს, პარადოქსებს სხვა ქვეყნებთან გავლებულს და დაკავშირებულს, როგორ გადარჩენ, არ დაკარგეს სახელმწიფოებრიობა, სურვილებს-როგორ განავითარებდა, როგორი ქვეყანა სურს მომავალი თაობისთვის-რეკომენდაციებს, რჩევებს, ადამიანურ ფასეულობებს, ღირებულებებს. მკითხველი, ალბათ, უკვე მიხვდა, რამდენად საინტერესო ინფორმაციულ-მორალური თავგადასავალი ელის წინ. ჩვენი გაზეთი კი, მცირე თავს გთავაზობთ მისი წიგნიდან:

ამბობენ, გაჭირვებამ ხალხის შეკავშირება იცისო. ეს გამოთქმა 1941-1945 წლების დიდ ომში დადასტურდა. ერთ მუშტად შეიკრა საბჭოთა ხალხი და შეერკინა გერმანულ ფაშიზმს.

საოცარი რამ ხდებოდა, რესპუბლიკათა ერთობლიობას სსრ კავშირის სახით, სულ რაღაც 19 წლის ისტორია ჰქონდა (თუ არ ჩავთვლით დასავლეთ უკრაინას, დასავლეთ ბელორუსიის ნაწილს და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს, რომლებიც, დაახლოებით, ორი წლის უკან იყვნენ შეპოჭილები ამ კავშირში.

საერთო მტრის წინაშე 100-მდე ერისა და ეროვნების ადამიანი, ისტორიულად მცირე მონაკვეთში, ერთ ოჯახად მცხოვრებნი, ისეთი თავდადებით იცავდნენ ერთიან სამშობლოს, თითქოს ამ ერთიანობის გარეშე არც უცხოვრიათ და ვერც იცხოვრებდნენო

ეს ერთანობა, გარკვეულწილად, ერთსულოვნება იყო, მაგრამ ქვეყანაში გამეფებულმა ძლიერმა დიქტატორამ და დიქტატორის ავტორიტეტმა შეუძლებელი შეადგინა ხალხებს. შიშმა შექმნა სიყვარული, დასტურად შოთა რუსთაველის გამოთქმისა. საქართველოს რომ ახლა უჭირს, ასე, ალბათ, არასდროს არ გაჭირვებია. რატომ ვერ შევიკარით ერთ მუშტად?

აღარც დიქტატურაა და არც დიქტატორი გვეყავს?

საქართველო ტერიტორიულად დაიხლინა და იმედი კიდევ გვაქვს, რომ იგი გაერთიანდება, მაგრამ რა გაგვაერთიანებს ამდენ სულიერ-პოლიტიკურად დაშორებულ ჯგუფებს? რამდენი ამოუცნობია მათში? მხედარს ხმალი უკავია, საით მოიქნევს და ვის წააგდებინებს თავს, ღმერთმაც კი არ იცის.

ყველა ჯგუფი თავისებურად მსჯელობს, შინაგანად კი ყველა მიმართულია საჭისმფლობელის და მისი გუნდის ადგილის დასაკავებლად, ყველას უნდა მმართველი გახდეს და ვინდა დარჩება სამართავი?

არიან ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლიაო. თქვე დალოცვილებო, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3-4 საუკუნის უკან თუ არსებობდა იგი, ახლა ვეღარ იარსებებს? ფარნავაზიდან ერეკლემდე 21 საუკუნეა, ბატონებო, ერეკლედან გორბაჩოვამდე ორი და ნუთუ ამ ორმა საუკუნემ ისე დაადგინა ქართველობა, რომ 23-30 საუკუნოვანი სახელმწიფოს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა?

ცოტანი ვართო, რომ გაიძახიან, განა ჩვენზე ცოტანი არ არიან ევროპის, აზიის, აფრიკის და ამერიკის პატარა სახელმწიფოები? ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ ლუკმად არ ეყოფა სურინამის 385 ათას მაცხოვრებელიანი რესპუბლიკა, მაგრამ არ გადაყლაპა იგი. ასევე არ გადაყლაპეს აფრიკაში 400 ათას მაცხოვრებელიანი ჯიბუტის რესპუბლიკა, 320 ათასიანი კომორის კუნძულების ფედერალური ისლამური დესპუბლიკა, 350 ათასიანი ეკვატორული გვინეა. "გადაყლაპავია" აზიაში 360 ათას მაცხოვრებელიანი ბაჰრეინი, 190 ათასიანი ბრუნეი, ამ პატარა, მდიდარ ქვეყანაში ხომ საშუალო წლიური შემოსავალი შეადგენს 10 ათ ს დოლარზე მეტს ერთ სულ მოსახლეზე, 250 ათასიანი ყატარი, საიდანაც 200 ათასი დედაქალაქ დოხაში ცხოვრობს, მაღდივის დესპუბლიკა, რომელიც 1196 კუნძულისგან შედგება და ცხოვრობს 160 ათასი ადამიანი(დასახლებულია 200 კუნძული). არ გადაყლაპეს ევროპაში 232 ათას მაცხოვრებელიანი ლუქსემბურგი, 320 ათასიანი მალტა, შვეიცარიისა და ავსტრიის შორის მდებარე 25 ათას მაცხოვრებელიანი ლისტენშტეინი და სხვები და სხვები. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მათგან ბევრი იყო გადაყლაპული ჩვენსავით, მაგრამ მგლის ხახას თავი დააღწიეს და არსებობენ დამოუკიდებლად.

განსაკუთრებით მინდა შევჩერდე რომის ტერიტორიაზე არსებულ ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანზე, რომელიც წარმოადგენს კათოლიკური ეკლესიის საერთაშორისო ადმინისტრაციულ და იდეოლოგიურ ცენტრს. ამ სახელმწიფოს მოსახლეობა 1000 კაცზე ნაკლებია, მათგან, ვატიკანის მოქალაქეობა აქვს 400-მდე კაცს. ვატიკანი წარმოადგენს უმდიდრეს სახელმწიფოს, მას იტალიის ბანკებში დაბანდებული აქვს 32 00 მილიარდი ლირა, მისი ქონება ამერიკის შეერთებულ შტატებში შეფასებულია 40 მილიარდ დოლარად. ე.ი თითოეულ მოსახლეზე მოდის ასტრონომიული ციფრის საფასურის ქონება და ფული. ვატიკანი გამოსცემს სხვადასხვა ქვეყნებში 50 ენაზე ჟურნალ-გაზეთებს.

დღეისათვის, ეს მონაცემები ყველა ქვეყნის მიმართ და მათ შორის ვატიკანზეც, ცოტა მოძველებულია, მონაცემები აღებულია 1983 წელს გამოცემული წიგნიდან "სტრანი მირა". რა თქმა უნდა, მითითებული ქვეყნები უფრო გამდიდრდნენ, რადგან ფული ფულთან მიდისო, ნათქვამია, მაგრამ როგორც ჩემთვის ცნობილია, ვატიკანის მოსახლეობა 600-მდე შემცირებულია.

თუ კარგი მეზობელი ქვეყანა გყავს, გამრავლები და გამდიდრები, თუ არადა, სისხლიდან დაიცილები და გადაშენდები. ქვეყნისათვის მუსლიმანიც მტერი იყო და ქრისტიანიც მტერი გახდა. აღარ ყოფილა ჩვენი საშველი და ეგაა.

ჩვენს თავს ჩვენ თვითონ უნდა ვუშველოთ. ყველანი ნუ მოვინდომებთ პირველ სკამზე წამოსკუპებას, ხოლო თუ ვინმე წამოვასკუპეთ, ვადროლოთ, ბატონო, იქნებ რას მოიმოქმედებს ის კაცი ქვეყნის სასარგებლოდ. თუ ქაოსურად ვიცხოვრებთ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ძალისხმევა ჩვენს დაშოშმინებაზე დაიხარჯება და როგორღა წავიდეთ წინ?

ჩვენი ხსნა, ჩვენივე ხელშია. ნუ გადავყვებით ერთმანეთის კრიტიკას, შევუსწოროთ შეცდომები ერთმანეთს და ქართველ ხალხს ეყოფა სიბრძნე, რომ მილიონიდან ერთი სწორი მიმართულება ამოვარჩიოთ ქვეყნის, ერის, ბერის, ტრადიციის და მომავლის გადასარჩენად.



- ახალგაზრდობა მოდის -

რუსუდან გონგლაძე: მთავარია ზუსტად იცოდე, რა გინდა და არ დანებდე, შეუძლებელი არაფერია...

რუსუდან გონგლაძე რამდენიმე წლის წინ გავიცანი, როდესაც “მშვიდობის კორპუსში” მუშაობდა. მასსოვს, როგორი ერთუხიანობით და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს. ამის შემდეგ, ბევრი წელი გავიდა, ჩვენი გზები აღარ გადაკვეთილა, თუმცა, სოციალური ქსელიდან ვადევნებდი თვალს მის წარმატებებს და ვგულშემატკივრობდი კიდევ, როგორც სურამელს, ჭკვიან და მიზანმიმართულს. დღეს რუსუდანი ჩემი რესპონდენტია და თვითონ ისაუბრებს იმ გზებზე და გამოცდილებებზე, რომელიც მან გაიარა. წინ დიდი გეგმები და სამომავლო პერსპექტივები აქვს, რომლის მიღწევაშიც, ეკვი არ მეპარება.

-დავიბადე და გავიზარდე სურამში. დავამთავრე სურამის პირველი საჯარო სკოლა და სწავლა გავაგრძელე ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის მიმართულებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ, დავაგრძელე სამუშაო გამოცდილება და 2018-2019 წლებში გავიარე მაგისტრატურა ინგლისში, შესყიდვებისა და მიწოდების ჯაჭვის მართვის მიმართულებით.

- Flex შესახებ მიაბზე, რა მოგცა ამერიკულმა გამოცდილებამ?

- „ფლექსი“ იყო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი. პირველ რიგში, დამანახა, რომ ყველაფერი შენზეა დამოკიდებული, შენი თავდაუზოგავი



შრომა აუცილებლად დაფასდება და ნებისმიერი დასახული მიზნის მიღწევა შეგიძლია. პირველად „ფლექსი“ მონაწილეობა მე-10 კლასში მივიღე, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურს ძალიან კარგად ვფლობდი, პირველივე ტურიდან გამოვევარდი, რასაც არ ველოდი და დიდი ტკივილი იყო. თუმცა, ხელი არ ჩამიქნევია, ვიცოდი კიდევ ერთი ცდა მქონდა დარჩენილი. მთელი წელი თავდაუზოგავად ვმუშაობდი, რომ შემდეგ წელს ჩემი მიზნისთვის მიმეღწია და მართლაც ასე მოხდა. 2008 წელს მოხვდი სკოლის იმ 50 მოსწავლეს შორის, რომელსაც საშუალება მიეცა ერთი წელი სრული დაფინანსებით ესწავლა და ეცხოვრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მე ვისწავლე Central Mountain High School-ში, პენსილვანიის შტატში.

ეს იყო ჩემი პირველი გასლა ქვეყნიდან. ამ გამოცდილებამ მასწავლა დამოუკიდებლობა, სიახლეების მიმდებლობა, მუდმივი განვითარება და ბრძოლა საკუთარი მიზნებისთვის. გავიცანი სრულიად განსხვავებული კულტურა და ტრადიციები, ცხოვრების სტილი. ამასთანავე, საშუალება მომეცა ჩემი ქვეყანა წარმედგინა და ძალიან ამაყი ვიყავი, რომ წლის ბოლოს ერთ პატარა ქალაქში უკვე ყველამ იცოდა საქართველოს შესახებ.

- დაბრუნების შემდეგ, სად განაგრძე სწავლა, იქონია თუ არა გავლენა შენს არჩევანზე „ფლექსი“ მიღებულმა გამოცდილებამ?

- „ფლექსი“ მიღებულმა გამოცდილებამ ჩემს არჩევანზე დიდი გავლენა არ იქონია, ვინაიდან წასვლამდე ვიცოდი, რომ ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულებით მსურდა სწავლის გაგრძელება. თუმცა, დამეხმარა რომ უფრო მომზადებული ვყოფილიყავი უნივერსიტეტისთვის. ამერიკაში სწავლისას, ერთ-

ერთი საგანი რომელიც ავირჩიე და გავიარე, იყო მეწარმეობა, შესაბამისად, სწავლის დაწყებამდე შევიქმენი გარკვეული საფუძველი და უფრო მეტად დავრწმუნდი ჩემს გადაწყვეტილებაში. ჩამოსვლიდან ერთ თვეში ჩავაბარე ეროვნული გამოცდები და სწავლა განვაგრძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულებით.

- სხვა გაცლით პროგრამებზე მოგვიყვი, რომელმაც ასევე მნიშვნელოვანი გამოცდილება მოგცა.

- უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი მაქსიმალურად გამოვიყენე, რომ შემოგზაურა, მონაწილეობა მიმეღო სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებში და საზაფხულო სკოლებში. ამან საშუალება მომცა განვითარებულიყავი როგორც პიროვნულად, ასევე პროფესიულად, გავიჩინე ძალიან დიდ სანაცნობო და სამეგობრო წრე. ამ პროგრამებით იცნობ ბევრ ადამიანს, რომლებსაც სრულიად განსხვავებული



შეხედულებები, ინტერესები და ბეგრუნდი აქვთ და სწავლობ, როგორ გამონახოთ საერთო ენა, გაუზიაროთ ერთმანეთს ცოდნა და გამოცდილება, დაეხმაროთ განვითარებაში. მისწავლია და მიმუშავია გუნდებთან ერთად, სადაც ორი არათუ ერთი და იმავე ქვეყნის არამედ კონტინენტის წარმომადგენელიც კი არ ყოფილა.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მივიღე “ერასმუსის” სტიპენდია და ნახევარი წელი ვიცხოვრე და ვისწავლე სლოვაკეთში. ეს იყო ჩემი პირველი გამოცდილება მეცხოვრა უნივერსიტეტის კამპუსში, მაშინ, როცა ამერიკაში მივიღე ადგილობრივ ოჯახთან ცხოვრების გამოცდილება. სწავლის დასრულების შემდეგ, ვიმუშავე 5 წელი და 2018 წელს გადავწყვიტე ამელო შესვენება ისევე სწავლის გასაგრძელებლად, ამჯერად მაგისტრატურაზე. ჩვენი სტიპენდიის დახმარებით მაგისტრატურა გავიარე ინგლისში, სრულად დამიფინანსეს სწავლისა და ცხოვრების ხარჯი ჩემს მიერ შერჩეულ უნივერსიტეტში. რომ არ ეს სტიპენდია, ალბათ ვერც კი ვიოცნებებდი ინგლისში მაგისტრატურაზე მესწავლა, რადგაც ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

მსგავს პროგრამებში მონაწილეობით ხდები ერთი დიდი, ძალიან საინტერესო ოჯახის წევრი.

- როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანია მსგავს პროგრამებში ახალგაზრდების მონაწილეობა და რა რჩევებს მისცემდი მათ?

- ფიქრობ, რომ მსგავს პროგრამებში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია ვინაიდან გიხსნის ახალ გზებსა და შესაძლებლობებს, დიდი როლი შეაქვს შენს პერსონალურ განვითარებაში. ისეთმა პროგრამებმა როგორებიცაა „ფლექსი“, “ერასმუსი”, “ჩვენი გზა”, მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება. დღესდღეობით, ძალიან ბევრი სტიპენდიის პროგრამაა, მთავარია განსაზღვრო რა მიმართულება გაინტერესებს, ზუსტად იცოდე რა გინდა და არ დანებდე, შეუძლებელი არაფერია. შესაძლებელია, პირველ და მეორე ჯერზე არ გამოვივიდეს, მაგრამ აუცილებლად უნდა გააგრძელო ცდა. არ უნდა მოგერიდოს დახმარების თხოვნის, შეგიძლია მოძებნო ამა თუ იმ პროგრამის კურსდამთავრებული და სთხოვო რჩევა, დაგეხმაროს, მიმართულება მოგცეს. აპლიკაციის წერის დაწყებამდე უნდა განსაზღვრო შენი ძლიერი და სუსტი მხარეები და რაც მთავარია, წერის პროცესში იყო გულწრფელი. გადაახედე შენი აპლიკაცია შენს მეგობრებს, სთხოვე იყვნენ კრიტიკულები მისი შეფასებისას, გაითვალისწინე რჩევები. მაგალითად, როცა მაგისტრატურის გასაუბრებისთვის ვემზადებოდი, ჩემი მეგობარი ძალიან დამეხმარა, რამდენჯერმე ჩამოვწერეთ და გავიარეთ ყველა შესაძლო კითხვა, რაც შეიძლებოდა რომ დაესვათ. ასევე მნიშვნელოვანია არ გემინოდეს კითხვების დასმის, პირიქით, დასვით რაც შეიძლება მეტი კითხვა, სხვანაირად ვერ ისწავლი.

ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვესაუბრები ახალგაზრდებს იმ პროგრამების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიმიღია, ვუზიარებ ჩემს გამოცდილებას და ძალიან მიხარია, რომ ბევრი მათგანი ავსებს აპლიკაციას და იღებს მონაწილეობას.

- სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობის გამოცდილებაზე მოგვიყვი?

- ჩემი სამუშაო გამოცდილება საკმაოდ მრავალფეროვანია, მიმუშავია როგორც არასამთავრობო, ასევე სამთავრობო და კერძო სექტორში, საერთაშორისო პროექტებზე. ამასთანავე, ჩემი სამუშაო არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთი ლოკაციით, ვმუშაობდი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, რაც ძალიან საინტერესო გამოცდილება იყო. არ მიყვარს რუტინა, ამიტომ ყოველთვის ვეძებ სიახლეებს და ვცდილობ, ჩემი სამუშაო გავხადო საინტერესო. თუ განვითარების შესაძლებლობას ვერ ვხედავ იქ სადაც ვარ, მირჩევნია დრო არ დავკარგო და სხვა ადგილი მოძებნო, სადაც მაქსიმალურად შევძლებ ჩემი შესაძლებლობების რეალიზებასა და განვითარებას.

- რა გეგმები გაქვს სამომავლოდ, სად ხედავ საკუთარ თავს?

- მუდმივი განვითარება და წინსვლა. სავარაუდოდ, რამდენიმე წელიწადში ისევ ავიღებ შესვენებას სწავლისთვის და ამჯერად ვიმუშავე სადოქტორო პროგრამაზე. ასევე, მეგობრებთან ერთად ვმუშაობ რამოდენიმე საინტერესო პროექტზე და დიდი იმედი მაქვს, მალე შევძლებთ მათ განხორციელებას.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.